დამტკიცებულია
თჰუ რექტორის 2024 წლის 20 თებერვლის
№ 04/08 ბრძანებით

საგანმანათლებლო მომსახურების
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

№_____

ქ. თბილისი «_____» _____ 20 წელი

შპს «თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი» (შემდგომში – უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის ვალენტინა საყვარელიძის სახით, ერთი მხრივ, და_____, პირადი №_____, პირადობის მოწმობის/პასპორტის №_____ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის №_____ (შემდგომში სტუდენტი), მეორე მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტი უწევს სტუდენტს «საგანმანათლებლო მომსახურებას», უნივერსიტეტის მიერ რეალიზებული _____ (საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი) აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს, «სტუდენტის» მიერ «უნივერსიტეტისათვის», ამ საგანმანათლებლო მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფით საფასურის გადახდის საფუძველზე;

1.2.საგანმანათლებლო მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფი შეადგენს _____ (_____) ლარს ერთი სემესტრისათვის; საგანმანათლებლო მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფის შემცირება «უნივერსიტეტს» შეუძლია ცალმხრივად, ხოლო გაზრდა (ხელშეკრულების არსებითი პირობის შეცვლა) შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი პატივსადები საფუძვლებით;

1.3. «სტუდენტი» ვალდებულია, შესაბამისი სემესტრით სწავლების დაწყებამდე, გადაიხადოს «უნივერსიტეტის» მიერ რეალიზებული და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების სემესტრული საფასური ან/და დაფაროს იგი მოპოვებული გრანტით;

1.4. «სტუდენტის» მიერ ამ ხელშეკრულებით დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასურის ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში (ყოველი სემესტრის დაწყებამდე) გადაუხდელობა წარმოადგენს ამ ხელშეკრულების პირობის არსებით დარღვევას, რის გამოც «უნივერსიტეტი» უფლებამოსილია შეაჩეროს «სტუდენტთან» გაფორმებული ამ ხელშეკრულების მოქმედება და შეუჩეროს «სტუდენტს» სტატუსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ვადის ფარგლებში. სტატუსშეჩერებული «სტუდენტი» არ რეგისტრირდება შესაბამისი სემესტრის აქტიურ სტუდენტად.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულება იდება პირთან, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით/მობილობით, ჩაირიცხა «უნივერსიტეტში» და წარმოადგინა პირველი (შესაბამისი) სემესტრისათვის საგანმანათლებლო მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფის (სწავლების საფასურის) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გრანტის მოპოვების შემთხვევაში – გრანტის მოპოვების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტი და სწავლების საფასურსა და გრანტის მოცულობას შორის სხვაობის გადახდის ქვითარი).

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

2.1. «სტუდენტი» უფლებამოსილია მოსთხოვოს «უნივერსიტეტს» ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, შეთავაზებული და არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მიწოდება, სწავლისა და ინტელექტუალური განვითარების სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და სხვა პირობების დაცვა;

2.2. ისარგებლოს «უმაღლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით დაცული უფლებებით;

2.3. ისარგებლოს «უნივერსიტეტის» დებულების 23-ე და 25-ე მუხლებით გარანტირებული უფლებებით;

2.4. «სტუდენტი» ვალდებულია, დაიცვას და მკაცრად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, «უნივერსიტეტის» დებულება, «უნივერსიტეტის» შინაგანაწესი, დაემორჩილოს «უნივერსიტეტის» რექტორის ბრძანებებს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებს;

სტუდენტი	**მშობელი (მეურვე, მზრუნველი)**	**რექტორი**
_____	_____	_____

2.5. საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, «სტუდენტი» ვალდებულია შეასრულოს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამა, მოიპოვოს კრედიტები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო სასწავლო დისციპლინაში, აგრეთვე პროგრამით შეთავაზებულ და მის მიერ შერჩეულ სასწავლო დისციპლინებში, ისე რომ დააგროვოს საქართველოს კანონმდებლობითა და პროგრამით განსაზღვრული _____ (30, 40, 60, 240, 120, 300) სასწავლო კრედიტი;
2.6. «სტუდენტი» ვალდებულია დაემორჩილოს ლექტორის მიერ სასწავლო კურსის დასაწყისში წარმოდგენილ სასწავლო გეგმას (სილაბუსს) და მასში მითითებულ მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს აღნიშნული საგნის სწავლების დროს მოქმედ უპირატეს წესებს;
2.7. «სტუდენტს» არა აქვს უფლება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები გადასცეს სხვა პირებს;
2.8. «სტუდენტი» მოვალეა უზრუნველყოს «უნივერსიტეტის» კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალებისადმი სათანადო მოპყრობა და მათი დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეიძლება დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა;
2.9. «სტუდენტი» ვალდებულია აცნობოს «უნივერსიტეტს» პირად ბარათში მოცემული მისამართისა და სხვა ნებისმიერი პირადი ინფორმაციის ცვლილების შესახებ, რადგან «უნივერსიტეტის» მიერ «სტუდენტისადმი» განხორციელებული ნებისმიერი აქტივობისას, გამოყენებული იქნება სტუდენტის პირად ბარათში მოცემული მონაცემები;
2.10. «სტუდენტს» არა აქვს უფლება გამოიყენოს «უნივერსიტეტში» მოპოვებული სასწავლო მასალები, წიგნები და დამხმარე სახელმძღვანელოები სხვა დაწესებულებებში;
2.11. «სტუდენტის» მიერ «უნივერსიტეტის» შინაგანაწესის რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, «უნივერსიტეტი» უფლებამოსილია იმოქმედოს «უნივერსიტეტის» შინაგანაწესისა და «უნივერსიტეტის» შიდარეგულაციური აქტების შესაბამისად, ხოლო «სტუდენტი» ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ის გაეცნო «უნივერსიტეტის» შინაგანაწესს და სრულად ეთანხმება მას;
2.12. «სტუდენტის" მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შეთხვევაში, ასევე შინაგანაწესის უხეში დარღვევისას, «უნივერსიტეტი» უფლებამოსილია იმოქმედოს «სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებისა» და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუჩეროს ან შეუწყვიტოს «სტუდენტს» სტატუსი.

3. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები

3.1. «უნივერსიტეტი» ვალდებულია განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის, «უნივერსიტეტის» დებულების შესაბამისად, დაიცვას ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის სტანდარტები;
3.2. «უნივერსიტეტი» ვალდებულია უზრუნველყოს «სტუდენტი» სასწავლო მასალებითა და სახელმძღვანელოებით. «უნივერსიტეტს» გააჩნია საკუთარი ბიბლიოთეკა, სადაც «სტუდენტს» შეუძლია ითხოვოს სხვადასხვა ტიპის წიგნები და მასალები;
3.3. «უნივერსიტეტი» ვალდებულია უზრუნველყოს «სტუდენტი» სწავლების სათანადო პირობებით და სასწავლო ბაზის სათანადო ტექნიკური აღჭურვით, უსაფრთხოების ტექნიკური წესებისა და სანიტარული ნორმების შესაბამისად;
3.4.»უნივერსიტეტი», როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, გმობს პლაგიატს, არანებადართულ თანამშრომლობას, გადაწერას, ერთი და იგივე სამუშაოს მრავალჯერად ჩაბარებას, ქურდობას, ხულიგნობას და ყოველგვარ ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვის უფლებებს, ჯანმრთელობას, სასწავლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. ყოველივე ზემოაღნიშნულით, «უნივერსიტეტი» ცდილობს შექმნას ჯანსაღი, კონკურენტული გარემო, განათლების მიღებისა და ობიექტური შეფასებისათვის.
3.5. უნივერსიტეტი ვალდებულია დაამუშაოს სტუდენტის პერსონალური მონაცემები, საქართველოს კანონმდებლობით უნივერსიტეტისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად;
3.6. უნივერისტეტი ვალდებულია არ გასცეს სტუდენტის პერსონალური მონაცემები მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ხელშეკრულების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სწავლის პერიოდის განმავლობაში (სწავლის საფასურის შეცვლილი ტარიფების გათვალისწინებით);
4.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, ვადის ამოწურვის შემდგომ, «სტუდენტის» ინიციატივით გრძელდება ერთი სემესტრის ვადით, შეუზღუდავად, «უნივერსიტეტის» თანხმობით, თუ «სტუდენტის» მიერ არ

არის მოპოვებული მის მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამით, აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად საკმარისი სასწავლო კრედიტები;
4.3. «სტუდენტის» ინიციატივით აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, ასევე «სტუდენტის» სტატუსისა და ამ ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება შესაძლებელია განცხადების საფუძველზე. «სტუდენტი» ვალდებულია სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თაობაზე სემესტრის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს «უნივერსიტეტს»;
4.4. «სტუდენტის» ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა (მოშლა) შესაძლებელია მხოლოდ «უნივერსიტეტის» წინაშე ფინანსური დავალიანების არ არსებობის შემთხვევაში; დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულება მოქმედია შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების ნაწილში; «უნივერსიტეტი» იტოვებს უფლებას სასამართლო წესით იდავოს გაწეული მომსახურებისათვის დარიცხული ფინანსური დავალიანების დასაფარავად;
4.5. «უნივერსიტეტის» ინიციატივით, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება («სტუდენტის» სტატუსის შეჩერება) შესაძლებელია ამ ხელშეკრულებით, «სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებისა» და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
4.6. «სტუდენტის» სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, შესაბამისი სემესტრის სწავლების საფასურის გადახდისაგან «სტუდენტი» თავისუფალია; გამონაკლისს წარმოადგენს, «სტუდენტის» სტატუსის შეჩერება, სემესტრის მიმდინარეობისას (თუ გასულია სემესტრის დაწყებიდან 10 კალენდარული დღე), რა დროსაც «უნივერსიტეტს» უკვე შესრულებული აქვს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებზე დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე და დაწყებული აქვს «სტუდენტის» საგანმანათლებლო მომსახურება.

5. დავათა გადაწყვეტის წესი

5.1. მხარეებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით;
5.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვა მხარეებს შორის და ვერ გადაწყდა ურთიერთმოლაპარაკების გზით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სხვა პირობები

6.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა შევიდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იყოს ორივე მხარის მიერ;
6.2. ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

7. მხარეთა მისამართები

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	«სტუდენტი»
თბილისი 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31 ი/კ 206 046 045	_____
	პირადობის მოწმობის №_____
რექტორი ვალენტინა საყვარელიძე	_____ (ხელმოწერა)
	მშობელი (მეურვე, მზრუნველი)
_____ (ხელმოწერა) ბ.ა.	_____ (ხელმოწერა)